





მურალ ნებიერიძე

გამაპაცური
უდაპნოს მზე

„ეროვნული მწერლობა“
თბილისი
2006

ISBN 99940-0-792-0

რედაქტორი

ივანე ამირხანაშვილი

ფოტოები

თიკო ნებიერიძის

დიზაინი

გიორგი წერეთელის

კომპიუტერული
უზრუნველყოფა

ირაკლი ხუციშვილის

მოსალოდნელი მოულოდნელობები

ჯერ დადგენილი არ არის, პოეტი „თავისთვის“ წერს, თუ „სხვისთვის“, მაგრამ ფაქტია, რომ ლექსი რაც უფრო „თავისთვის არის დაწერილი, მით უფრო ადვილად ხდება „სხვისი“. 5

ამ სხვაში, უპირველეს ყოვლისა, პოეზიის გულის-მიერი მოყვარული იგულისხმება, ვინაიდან შეუძლებელია თვალით ან გონიერით ლექსის „ცნობა“, მითუმეტეს ისეთი ლექსისა, სადაც ცალ-ცალკე ყველაფერი ნაცნობია, ერთად კი – რთული და არცთუ იოლად გასაგები.

კაცმა რომ თქვას, „ნაცნობი“ და „რთული“ სულაც არ გულისხმობს რაღაც უპირობო, გადაულახავ ანტინომიას. შეიძლება საგანს გარეგნულად იცნობდე, მაგრამ ვერასოდეს ამოხსნა მისი შინაარსი და პირტიქით, შეიძლება რთულში უცებ აღმოჩინო რაღაც, ნაცნობი და ადვილად მისაწვდომი.

პოეზიაში ყველაფერი, მათ შორის, სირთულეც, ფარდობითია და ამიტომ არ არის გამორიცხული, ის, რასაც რთულს ვუწოდებთ და ძნელი გვგონია, სინამდვილეში წმინდა წყლის მეტაფორა აღმოჩნდეს.

მურად ნებიერიძის ლექსი რთულია იმდენად, რამდენადაც ადვილია მასში ავტორის პიროვნების განჭვრეტა.

ამ ლექსების ხმა, რიტმი, ფერი, განცდა, აზრი – ეს არის ავტორის ინდივიდუალობა თავისი ვნებებით, ფიქრებით, ტკივილებითა და მსოფლმხედველობით, რომელშიც ნათლად იკვეთება თანამედროვე ქართველი კაცის კრიზისული ფსიქოლოგია.

ტკივილი და განსჯა – აი, ორი პოლუსი, რომელთა შორის პოეტის სული მიმოიქცევა – ეჭვით დაღლილი ჰამლეტივით.

კრიზისული ფსიქოლოგიის მხატვრული რეალიზაცია ხდება მეტაფორებისა და სხვა პოეტური საშუალებების ინტენსიური გამოყენებით, რაც მართლაც ძნელი აღსაქმელი იქნებოდა, კულმინაციის ეფეტს რომ არ მიმართავდეს ავტორი.

საქმე ის არის, რომ მურად ნებიერიძის თითქმის ყველა ლექსი ტრაგიკული განცდის მაღალი რეგისტრით იწყება, „შიგა წვის“ ენერგია ბოლომდე თანაბრად იხარჯება, მაგრამ ფინალში ხდება არაჩვეულებრივად დინამიური რიტმის მკვეთრი შენელება, ექსპრესიის შეცვლა სრულიად მშვიდი ტონალობით, იქნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ქარიშხალი ჩადგა, მზე ჩაესვენა, სული ნირვანაში ეშვება, იწყება მეტამორფოზა, რომელსაც მრავალწერტილი აგვირგვინებს.

კულმინაციის ეფექტი – ეს არის მურად ნებიერიძის ლექსის თავისებურება, რომელიც საკმაოდ საინტერესო მხატვრულ მიგნებად უნდა იქნეს მიჩნეული, თუ, რა თქმა უნდა, მას ისე არ წავიკითხავთ, როგორც ინსტრუქციას ლექსის ფინალის ასახსნელად. მართალია, აქ ხშირად გვხვდება ნაცნობი წარმომავლობის მქონე ტროპები, მაგალითად ასეთები: „მელანქოლია – ბებერი ყვავი“, „კოსმიური ველები“, „წარმავლობა – ქამელეონი“, „გრძნეული თოვლი“, „ლაჟვარდების ლურჯი სიცივე“, მაგრამ საგულისხმო სწორედ ის არის, რომ პოეტურ ტრაფარეტებს ავტორი თვითონვე უსწორებს ანგარიშს, - მოულოდნელი რიტმული ტეხ-

ილებით შლის ასოციაციებს, რასაც შეიძლება ნაცნობი სიტყვები იწვევდნენ და ქმნის ილუზიას, რომ ეს ტრაფარეტები კი არა, ოპტიკური ცდომილებაა.

მკითხველი ახალი წიგნისგან, როგორც წესი, მოელის რაღაც ისეთ მოულოდნელს, რაც მისთვის მოსალოდნელია, ანუ რაც სასურველია, რაც სიახლით სუნთქავს.

ამ წიგნში არის მოსალოდნელი მოულოდნელობები.

დაკვირვებული მკითხველი იმასაც მიხვდება, თუ სად დაძლია პოეტმა დედამიწის მიზიდულობა, სად შეძლო ფრენა.

მურად ნებიერიძე ხშირ შემთხვევაში დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს, ძნელ გზა-სავალს ირჩევს, მაგრამ მან იცის, რას აკეთებს და როგორ აკეთებს. პოეტურ სათქმელს გამოხატავს იმ საშუალებებითა და იმ მასალებით, რომელთა გამძლეობის ხარისხს თვითონვე ადგენს, თვითონვე განსაზღვრავს ბევრ რამეს, თვითონვე აწესრიგებს ფორმალურ და შინაარსობრივ პროპორციებს, ერთი სიტყვით, თავისთვის წერს, თავისთვის მღერის, „ვით ფრინველი გარეგანი“, რომელმაც არ იცის, რომ სხვებისთვის მღერის.

ივანე ამირხანაშვილი
თბილისი, 2006



ჩემი აპოლოგია

ვნებათა ღელვას თავდახსნილი
სიტყვის გრიგალი
ლაჟვარდს ამსხვრევს
და ბინდს მიიღენის...

ფეცხლს ანთხევს
ლრუბლის გველეშაპი
ელვის ტოტებით.

გულს
გული მუსრავს და მიიმღერის...

სნეული,
მუნჯი —
მარტომყოფი ცა უსასოო —
ნატრობს ცისკარი,
დაირეკოს და...

მარადიული განახლებისთვის
ბორგავს სიცოცხლე -
აზანზარებს დღეებს ექოს ხმა...

არ ძალმიძს,
აზრი დაემგვანოს უძრავ ნიჟარას,
ველურ ქარიშხალს
მივუგდე ფრთები...

უსინანულოდ გადაბერდა თავისუფლება

უალკოჰოლო
სევდისგან ვთვრები...

გოჯიც არ შერჩა უუფლებო მზეს,
შემიტაროს —
ირონიული სიყვარულით
კვდება ეპოქა...

გრიგალს ალაგზნებს ჩემი ლექსი
და ცოფმორეულს
სივრცე
საჯიჯგნად თუღა ეყოფა...

ଓର୍ବାମଣି ଧେହନୀରେ ବୋଲାକୁ

თეოტრი მინდვრების საზარელ დუმილს —
სუფთა ფურცლების ავ მისტერიას,
მივეცი გული....

მძიმე და ტლანქი ბოლავენ მთები,
ნისლში იფლობა ჰორიზონტი,
ყეფენ ლრუბლები...

მელანქოლია —
ბებერი ყვავი —
მწუხრის გუმბათზე დაპოტებს
წვიმის ხმაური —
მაისი
ჩვეულ სიმღერას მღერის...

განხსოვს...

ყმანვილის უმწეობა,
როცა პირველად აუჯანყდი
ოცნებებს მამრი
და აფროდიტევ,

შენით მზერადაფეთებული —
წამოფრთხიალდა მაგიური
მწველი,
წყვილი მზე...

გევედრებოდი,
მიყვარდა და არ შემიბრალე,
თვალებმა ცივი ლაჟვარდი შესვა —
დავთვერ უმანკო უსაზღვროებით...

და ნუთუ,
ახლაც ხსოვნას გაატან
ჩემი ამბორის სითბოს და ტკივილს —
თეთრი მინდვრების მდუმარებაზე
მოსწვეთს,
ცრემლებმა დაკარგა სხივი...

დავალ სიკვდილივით უმძაფრესი,
სიყვარულით მგზნებარე
და რეალური —
უზღვავ სინათლით გავიბრწყინებ...

ვარსკვლავებსა და ყვავილებს შორის
მიმოიქცევა სული —
დემონი...

სიმშვიდე ვერსად ვპოვე...

სამოთხის პართან

მშვენიერებას ვინც დაუდო
ტანჯვის სათავე,
დამმარხა
ტანჯვის სიღიადეში...

პრეისტორიამ
ავანსცენიდან გაირეკა
ღინოზავრები...

ცის მოიმედედ შეგრჩი, ზეცაო —
მე —
ღრუბელთა არქეოლოგი...

არსებობის საზღვარი
და საზღაურია
გენების არტისტული ფეიერვერკი
და ზარდამცემია რეალობა:
სარკის
და ბრილიანტის ათინათი —
მსგავსი განწირულებით შემოსილი...

ბრწყინავს სადაფი —
დრო,
შედედდა მარგალიტებად —
ელვა გაქვავდა გარდაცვლილ წამში...

გული დუმს —
აღარ მეკითხება:
ღვთაებრივი და ერთადერთი
ვისია ნება მარადიული...

ღა

უკვდავების უინით გათანგული,
სულს
სინანულით ავსებს
შემოდგომის მარადმწვანე
სიცარიელე...

14

ცრუშცვალე აცყვე

ვეღრება

უთქმელი სიტყვით დავადუმე
ამოძახილი —
საკუთარ გულში გავუჩინარდი...

ვერ დავიტიე შენგან სიშორე —
დაობლდა განცდა
განდგომილებით...

ჩემგან სამყაროს დასაზღვრულობას
უსაზღვროებით დამშვიდება
აღარ ელირსა —
დაუინებული მოვიკვლევ დღემდე
სიტყვას,
ბობოქარ ვნებათა წიაღს...

ლტოლვილი სულის
ცეცხლის სხეული
შებოჭილია
მუდმივ ტკივილით —
წმინდა გრძნობათა სახიერებავ,
გვედრი მოიქეც ჩემდა, უფალო,
რომ
მარადიულ ვნებას შეერთოს,
ღვთაებრივ ნების გახდეს ზიარი —
უთქმელი სიტყვით დავადუმე ამოძახილი,
საკუთარ გულში გაუჩინარდი.

სინათლის ლოდი

ვერ გწვდება თვალი-
თვალები ბრმაა,
სხივთა ციაგში როგორ გიხილო...

16

ცრუშებიც აცყვე

გულის კარნახით ვაზანზარებ
სამყაროს ბჭეებს —
გეპოტინები,
რომ დავძლიო შენი სიცივე...

უვიცად შობილს ველური ნერვი
მითოთის
და მამსხვრევს
ბიძგების რიტმი —
ანგრევს ლოგიკა, უსაზღვრო ოვალს —
მზის ჩრდილს —
კოსმოსის მისტიურ ყვავილს...

მე —
საკუთარი ცნებების მსხვერპლი,
შენ —
შეუღწევი —
მაწამებ ფიქრი...

მე ვერ შევძელი შეცნობა შენი,
რატომ მდინარებ
უჩინარქმნილი...

და დამრთგუნველი შენი სიცხადე —
ვერ უარვყავი
ცხოვრება ჩემი...

თუ შემოგბედე საყვედური —
 რად მომეც ნიჭი,
 იქნებ დიდებას
 ჩემი გულიც მინებებოდა,
 მეცხოვრა მშვიდად,
 ბოძებულით,
 თვალის ახელით —
 მერწმუნა ხსოვნა სინამდვილედ
 და რეალობად...

გე — მაიაკოვსკი

მიდიან წლები მკაცრი უამთასვლის,
 ეს მე ვარ თვითონ,
 მე ვარ პატრონი;
 ცისა და მიწის შესაყართან
 ვდგევარ თავხედი,
 ფარისეველთა წკავნკავს არ ჰგავს
 ჩემი ღრიალი...

ეპითეტებმა
 ყალბი ტონით უღერა დაიწყეს,
 ძალზე ხმამალლობს,
 შორს გაჰყვირის რეპროდუქტორი,
 ტოტალური ძვრა განახლების —
 აი გონება —
 სულს ღაფავს სიტყვა,
 მომავალი როცა ახლოა...

მოკვდეს ყოველი უმომავლო —
 ნთქავს ისტორია,
 უფერულ აზრებს
 ცრუ დიდების დაფნა ეხვევა,
 ბრაზმორეული,
 ქარტეხილებს რისხვით მოვამტრევ...

მაიაკოვსკი —
 პოეზიის ფიცხი გენია...

ხმამალლა ვამბობ: მე ვარ თვითონ
 ამ დღის პატრონი,

ბრძოლაში ვიწვევ
 ყველა ქვემძრომს,
 ყველა ლაქიას...

ნამოფრენილა ქედებიდან
 ცეცხლის ფრინველი,

ცეცხლის ფრინველი —
 ჩემი ნათლია...

გადამალული დღე

წამომელანდე –
აბორგდა სისხლი –
გაიუღრიალა ფოლადმა ქარში...

20

ცრუშეთი აცხვე

წამომელანდე,
წვიმამ ბინდი წამოიტირა,
ცრის
და ვარსკვლავთა ცივი ციაგით
დაკანრულია ღამე – ნიღაბი...

უმთვარო ღამეს
სინანულიც არ აბადია –
სურვილებს მიღმა ღვთაებრივი
კვდება წყურვილი,
ცნობიერების ეკრანს ელვამ გადაუკივლა,
შემბოჭა უცებ
მოგონების მძაფრ მისტერიით...

გადავიწყებულს
სივრცის ჟინი წამომაბოდებს –
ტკივილებს ვმალავ
სიმაღლეთა დავიწყებამდე,
რაც გიხილე და შემაძრნუნა,
ან შენ რომ არა,
ვინ მიაქცევდა გულს წამიერ
გარინდებისთვის...

ფიქრი მბრძანებლობს,
ჰა,
საცაა განსხეულდები —
სული უბადრუკ სიშიშვლეს მალავს...

წამომელანდე —
რეკავს ფოლადი —
გაზაფხული ჟღრიალებს ქარში...

აპრილის თოვლი

სულ ახალგაზრდა დააბერა
თოვლმა აპრილი...

ოდესმე მაინც
22 ხომ უნდა გითხრა,
თუნდაც უსიტყვოდ ამ სიყვარულზე...

შენ იღიმები,
კურცხალი ბრწყინავს,
ცრემლში ალმასი გაინამდვილებს
და ირეკლება ტყემლის ყვავილში —
აპრილის ბოლოს მაინც მოთოვა...

ფერადი, როგორც სიმღერები,
თოვლმა დააქრო,
ტყე გააფითრა
ფრინველების დუმილმა თოვლით,
ქარმა იმძლავრა,
ააქაფა თეთრი წყვდიადი,
რეკავს...

ტყემლები იმეორებს:
ზარი და ზარი...

ვიცი,
ერთხელაც შენს წინაშე
სიმუნჯე მომკლავს
და მწუხარებით სრულქმნი სალამოს...

დემონი

ჩემსკენ მოუწოდე,
შენს ქალობას ჩემსკენ მოუწოდე...

შენ ჩემში ნახავ
მარად ძველ
და მარად ახალ აღფრთოვანებას...

გარინდებას,
ამაღლებას,
გაოცებას
და სიგიურესაც,
რომელიც დუღს და მოედინება
აღუვსებელ ვნებათა ღელვად...

მოიტანე
ჩემამდე შენი სიმხურვალე,
მოიტანე
ჩემამდე ხიბლი შენი სხეულის,
დაღვინებული და მოჩუხჩუხე...

ყური მიუგდე,
გული როგორ ხმამაღლა ყვირის,
აღვსილი შენი ფორმის სრულყოფით...

მომანდე ფიქრი დამთრგუნველი
შენი ქალობის!..

აყევი სხივთა საგალობელს,
მამაკაცური სიდიადით
შენზედ რომ მღერის
და მაგიური სინაზით სავსემ,
ჩემსკენ მოუწოდე,
შენს ქალობას
ჩემსკენ მოუწოდე...

ପ୍ରକାଶକ

ცისკრის ვარსკვლავი
გამოენიას დიდხანს ტკეპნიდა,
ველარ გავუძელ,
ნამობოლდა სევდა უძირო...

და გამომტაცა სიყვარული
ეშმაკის წყევლამ,
უუნათლესი
უვიცობით გადამიმალა...

ბევრჯერ უარმყო —
დააღუმა
უინის გრიგალი,
და ჩემს წადილში
გაუძლები
ჩადო მოთმენა,
ქვიშის ალყაში ცოფიანი
მივქრი კენტავრი,
მივქრი კენტავრი,
კემატები რისხვად ქარიშხალს...

აგვისტოს ხვატში მელანდება იაიები,
მიყევს მირაჟი —
ლაუვარდების ლურჯი სიცივე
და სიყვარულით გათანგული
ცეცხლის ალვაში,
მზე მოჭიხვინებს
მარადიულ დასაპამიდან...

გზაჯვარედინი

შემომეფეთე...
შემოდგომის ყვითელ მოსასხამს
მიაფრენს ქარი...

შემომეფეთე...

რეტდასხმული ვთრთი და ვკანკალებ,
მზით გარუჯული
სრიალაა
ეგ შენი ტანი...

ოქტომბრის წვიმას მოთმინება

აღარ ეყოფა,
ჭირვეულობს და, სადაცაა,
დაიწყებს ღრიალს...

შემომეფეთე...

დღეის შემდეგ როგორ ვიცხოვრო,
ყვითელ ფოთლებზე
სიჭაბუკის ქარები ქრიან...

შემომეფეთე...

აღერილი მიხვალ,
მილალობ,
ჩემგან გამორბის კენტავრის ლანდი...

შემომეფეთე...

როგორც სრულქმნა,
საგალობელი,
და ჩემი ნატვრის ახდენად მნამდი...

გულს რა დააცხობს,
გაგლეჯილი გულიდან უონავს
სისხლი,
უსიტყვო სასოწარკვეთის...

კენტავრის მზერას ვერ გაურბი
და შენ ცახცახებ,
სიყვარულივით ბროლში ნაკვეთი...

შემომეფეთე...
დღეის შემდეგ როგორ ვიცხოვრო,
ყვითელ ფოთლებზე
სიჭაბუკის ქარები ქრიან...

ოქტომბრის წვიმას მოთმინება
აღარ ეყოფა,
ჭირვეულობს და,
სადაცაა,
დაიწყებს ლრიალს...

ეს დღეც გათენდა

28

ცრუშისცე აცყვე

ნაზამთრალ მიწას
მზემ ცხელი სისხლი
დაანთხია
და ცა გაზაფხულის —
თოვლი უეცრად წამოფრთხიალდა...

და დედამიწა სიმწვანის წყურვილს —
სიყვარულს მალავს გოგონა ციდა
და მე მის ტრფობას
ვცდილობ,
ვერ ვმალავ,
მოვიდა ჩუმად და შემპარავად...

შიშველ ბალებში ფიფქის ლიანებს
და ზამთრის ურუოლას,
თებერვლის უინი წაეკიდა —
ხელი დარია,
შიშით
და ძრნოლით თვალს ვაპარებ
სარკისკენ ჩუმად
და გეკითხები —
უბედურო რამ გადაგრია...

კივილით ჩხაპნის
ჩემ თვალებს ცრემლი,
ძველისძველია ტკივილივით
დამბაჩის ლულა,

თოვლის ნაგლეჯი —
 სანაგვეზე აგდია წიგნი,
 ახლა მის ავტორს გავყვებოდი
 დუელში სულაც,
 მაგრამ სიცოცხლის ველური თაფლი

—
 გახელებული
 მზით გაზაფხულის,
 თოვლი,
 უეცრად წამოფრთხიალდა...

გაგია „ლ“

აღემატები: სევდას,
ბორიალს,
მონატრებას და მელანქოლიას —
თავს ვეღარაფრით ვშველი...

დამუფლებია: განცდა ნეტარი,
სული ჭიხვინებს —
ლურჯი კენტავრი,
სატკივარი მჭირს ძველი...

ელვა დაფერფლავს ათასთა გულებს
შენი თვალების
და შენ უგნურებს
გააცოფებ და
შეშლი...

მე კი ვუმღერებ: შენს ლამაზ სხეულს,
სიცოცხლით თრობას —
სიყვარულს წყეულს,
რომ ვერ ვეხსნები დღემდი...

მპვდრის მზე

გული დაეცა ...

მახრჩობს წყურვილი
შენი ნახვის და ჩემი სურვილი
გიზგიზებს,
თოვლის ცეცხლი...

გული დაეცა...

სიტყვის სამანი,
დაცხრა, დადუმდა კარი სამარის –
ბოლავს
მთვარეში ვერცხლი...

გული დაეცა...

აღარ ინება
ღმერთმა და შენით დაიმედება –
ცოტაც,
დაქრება ღველფი...

გული დაეცა...

მოსწვეოს ყინული,
მკვდარი დაეცა ცა შორეული –
თოვს,
მარგალიტის ფერფლი...

უცერა

მთები მოჯრილან,
გახვითქულებს
აბოლებიათ თორ-აბჯარი...

32

ცა ახატია
ნისლზე დაფრენილ სივრცეს...

მოპქუხს,
მოდღეობს,
სიზმარცხადის ბოლავს მდინარე...

ბრწყინავს მყინვარი —
მარადისობის ძვალი...

დეპრესია

ჩემს მკაცრ დუმილში მოშრიალე
წვიმის ტოტები,
საცაა ელვად დაიტოტება...

დაკარგვის შიშით გადამალული
აზრი დაკარგა
ჭეშმარიტებამ...

მე შენგან ალერსს დანატრებული,
ცრემლებში ვახრჩობ მზეს
და ალიონს...

თუ არვინ შემრჩა,
უსიხარულოდ
სამყაროს სუნთქვა როგორ დავლიო...

ო,
სასტიკია განაჩენი —
აღარ გიყვარვარ,
დღე ნისლიანი უცებ ბერდება...

შემაზრზენია შიშველი სული
და უდაბნოზე ქარის ვედრება...

ჩემს გულში გოდებს
და ქარიშხალი
თავის სიმძაფრით
ვნებას იოკებს...

ფრესკებსლა შევრჩი —
მუნჯი ტაძარი,

ახლა ქარ-წვიმა რომ აწიოკებს...

დავიწყებული
თან წარვიტაცებ,
ჩვენ შორის დამქრალ დროსა
და მანძილს...

34

დადუმებული
შემოდგომის უძრავ ნათელში —
ჩემ არსებაში მახვილივით
სიჩუმე დადის...

ვოთოლცვენა

ყვითლად გათოვდა...

ნისლი ფარად დაეხეტება,
დაღვინდა ფერთა დღესასწაული...

ქარი ათრთოლდა ხმელ ფოთლებზე,
მომაკვდავი ტყის ხელისგულებზე...

ნაკადულებზე
ბორიალობს თეთრი აფთარი...

დაქრა ვნებათა ქარიშხალი,
ალარც წუხილი სიყვარულზე,
მხოლოდ ლა
ნგრევის განცდა...

09ზავენა უმისამართოდ

ის შეშლილია,
შეშლილს, აბა, რა გაეგება...

დრო –

36 მდინარება უჩინარი –
თითებს შორის ქვიშის საათი –
რეკავს ...

უხმო ქარი სიმღერებს...

ის შეშლილია,
შეშლილივით ან ვინ იმღერებს
ხიბლდაკარგული

სატრფოს ღიმილზე
და ენარცხება სასოწარკვეთის
ტალღა,
ყავლგასულ ჭეშმარიტებებს...

ის შეშლილია,
შეშლილივით ან ვინ იმღერებს
წარსულზე: სადაც აირეკლა
და ცნებებს შერჩა:
ამაოება—
საკინძედან ცხოვრებას უჩანს
დამჭვნარი ძუძუ...

კუნძულზე:
სადაც განმარტოვდა და დაესახლა-
სული,
ვნებათა ცეცხლია მხოლოდ...

თვალი ესრნაფვის
გონის შემძვრელ მზის აგონიას –
სალამო წვება ჰორიზონტზე—
დაღამდა უოლო...

დრო –
მდინარება უჩინარი –
თითებს შორის ქვიშის საათი –
რეკავს უხმო
ქარი სიმღერებს...

გაისი

გადაიქუხა ცრემლზე ტრიუმფით
ელვამ და წასცდა
შორი ყივილი...

38

წერო
საკუთარ ბუდეს ჩაეწო
და წაეკიდა ქარი ყვავილებს...

კლანჭი გაჰკრა
და ბოლავს მყინვარი —
მზემ დაუღარა მკაცრი პროფილი...

კულისებში

სურვილთა კვდომით განლეული
დღის უარყოფით,
შემაზრზენ განცდით შიშისმგვრელი
და შეუვალი –

გონება ჩემი,
მოსაზღვრულა უსაზღვროებით,
შლეგის ხილვებით პარადოქსულ
მიზეზთა გამო...

დამწუხრებულა სიყვარული
ჩემ ბილნ სხეულში
და უფორმობით შემზარავი
თან მდევს ჩრდილები,
ვისწორებ ნილაბს,
გარდასულს
და მომავალს შორის,
შლეგის ხილვებით და მიზეზით
მიზეზთა გამო...

ვნებათა მეფე –

გამგებელი –

ჩემი დემონი –

იხრწნება ბინდი ფერიცვალებით,

დასაბამიდან

დასაბამის რეკენ ზარები,

სატანურ ელდით

და ღვთაებრივ მიზეზთა გამო...

გეფამორფოზა

ჩემი ვნებაა მყინვარები ტანდალარული,
დიდი ტკივილით ვივინყებ წარსულს...

40

ცალკეული პერიოდის
აღმოჩენა

ჯოჯოხეთური უდარდელობის
ვარსკვლავი ბრწყინავს
სიმშვიდის ზღვარზე...

შეღამებას და განთიადს შორის
შედედდა სისხლი ბინდის სიმძიმით...

სივრცე განაბნევს ჩემს შთაგონებას,
შიში აქვავებს სინათლის წიაღს –
მარმარილოდან მოჟონავს ცრემლი –
ნყვდიადის ბროლში
დამსხვრეული ქარები ყრია...

ვაშლის ყვავილთა ბურუსიდან
შენ იბადები,
მილიარდ სახით მოდიხარ ჩემთან —
ყველა მიზეზთა უპირველესი —
მზე,
ამბროზიის სურნელით თვრება...

გულმა შესცურა უდროობაში —
სივრცეს ვერ იტევს ჩემი თვალები,
შენ იბადები ყვავილთმრავლობით —
ცეცხლი,
სიმძაფრით გადიგიზგიზებ...

მე უნებურად შევეჩვიე ამ დღესასწაულს –
ჩემსკენ გამოწვდილ

აყვავებულ სფინქსის საცეცებს —
ათინათები ციალებს თოვლის —
ვაშლის ყვავილთა მეტამორფოზა...

აი ნაყოფი,
რომელიც იტევს მთელი სამყაროს
ვნებათალელვას...

ფრთხილად მიჭირავს,
გამოვტაცე თავდავიწყებას
თესლი —
ვარვარა ნაკვერჩხალი,
გულივით ფეთქავს...

ქარებს მივუგდე ალბათობა
ნაყოფად ქცევის...

რეკდი მოლოდინს...

და აჰა,
ისევ,
შენ ჩემ წინ დგეხარ,
აყვავებული ვაშლის ტოტი,
რომელიც იტევ რეალობის
ყველა განაჩენს...

გაუცხოების მეტამორფოზა

ვარსკვლავთა მტვერი ჩავისუნთქე
და ცად გავქვავდი —
ძლივს მომიხელთა მზემ
მყინვარი,

42 დროს ჩაფრენილი...

დავკარგე სახე,
ავითარე სფინქსის ნიღაბი —
სარკაზმი —
გველის პერანგი,
ძველი...

ეჭვით დამშორდა,
ვისაც ვუყვარდი,
მალე მოსწყინდათ ჩემი თვითგვემა —
თავგაბეზრება
ხანგრძლივ ბავშვობით...

უცხო ვიყავი ყველასთვის დიდხანს,
დიდიხნის შემდეგ მომარგეს ჩარჩო,
ჩარჩოში
მთვარის სიცივე ბრწყინავს...

ამ დილით იყო,
ძილ-ლვიძილს შორის,
განწყობა —
სფინქსი, გარდაიცვალა,
ბინდი როდესაც განერიდა
უფერულ ქალაქს,
ქარს უეცარი წამოსცდა თოვლი...

მუნჯი აგონია

ზღვას ადგა ნისლის მსუბუქი ბოლი
ზღვა ირწეოდა —
ვარსკვლავებით ფეხმძიმე ღამე...

მე მოველ შენთან,
შენთან და ზღვასთან,
მე,
სივრცეებით სნეული კაცი...

მე შეგიყვარე —
მივეც სახე თავნება ქაოსს
და გავაქვავე სასოწარკვეთა...

აშრიალებდა სანაპიროს თეთრი შლეიფი
და ჩაგვესმოდა მაგნოლიის
მწვანე ვედრება...

მე მოგიხმობდი,
მე —
ღამეულ ფსკერზე განრთხმული,
ჩემი სურვილი —
მტვერი ტიალი —
იბადებოდა აფროდიტე მარტოსულობით,
მარტოსულობა —
მიამიტი ჩემი მხევალი...

თავდავიწყებად გავიცალე,
მბორგავ ზღვის ჭაკებს
ქანცი გაართვა მთვარის ულაყმა...

რამდენი წყევლა დავიტიე,

რომ სიყვარული —
სიყვარულივით მიმერთმია
გულის კარამდე...

შენ დამამარცხე,
რა მალე ჭკნება,
ცრუ —
მარადმნვანე დიდების დაფნა
და წყევლადქცეულ მოლოდინის
ურჩი დღეები
ჩემს სამსხვერპლოზე ელვამ დაღადრა...

და ვდუმვარ შენთან,
შენთან და ზღვასთან
მე,
სივრცეებით სნეული კაცი...

სივრცის ნაპირი

ხილული ზღვარი –
ჩემი ლანდი,
მე –
პარადოქსი,
დრო მსგავსის მსგავსი –
გულგრილი და დაუდევარი...

ერთფეროვნების აბსტრაქცია
სივრცისმიერი –
ბინდით სარკმელში შებოჭილი
ვარსკვლავთ ქაოსი...

ზრახვად გამრიგე: ბილწი ვნების
სულწასულობის,
მანჭვის და გრეხის,
განდიდების,
ამპარტავნების –
ზეიმობს ჩემში დამთრგუნველი –
ეშმა –

| | |
|---------------|---------|
| წყურვილი, | უსხეულო |
| თავზარდამცემი | |

განსხეულებით...

განურჩევლობამ
განკითხვის დღეც გადამიმალა,
ვეღარ ვიოკებ ამ აგზნებულ
ცნობიერებას

და როგორ შევძლო,
დავემალო მოკვდავის იმედს,
მომაკვდავ იმედს –
არსებობას,
ამ ცრუ დიდებით...

46

ხილული ზღვარი –
გდია ლანდი –
ღრო ხელთუქმნელი –
ბედისწერასთან
ალბათობით შეყრის უფლება...

ქამელეონი

სიცარიელე —
 სარკე არყოფნის,
 მე შენს წინაშე —
 მზარავ დემონი,
 ბრწყინავ
 და დნება ფიფქი სარკმელზე —
 ქერცლი ასტრალურ ქამელეონის...

განსხეულდები
 და მაგიური ფერი ღრიალებს —
 ბინდმა შემოსა
 და გააშიშვლა დრო ჩემს წინაშე —
 მარადიული მეტამორფოზა...

ვეღარ ვიოკებ გარდაცვალების ჟინს
 და სინათლე —
 თოვლი გრძნეული,
 ცდილობს წალეკოს მთელი სამყარო
 ეფემერული სივრცით სწეული...

უსაზღვროებით დაუსაზღვრელი —
 იგივეობა,
 მუდამ ახალი —
 დამმუფლებია კვდომის ექსტაზი —
 პირველყოფილი სევდა მაღალი...

ცისა და მიწის მუღერი ნიჟარა —
შრიალებს თოვლი —
მზარავ დემონი
და იფერფლება წარმავალობა —
ფიფქი სარკმელზე —
ქამელეონი...

დაღლევა

მწუხარში
მენამულ ცაზე წეროთა
ლანდი ფარფატებს –

ხსოვნა ედემის,

თვალი

სხივმიმქრალ მზეს შესცახცახებს –
დაისს მიემსხვრა ლექსი —
შედევრი...

დამფრთხალ სურვილთა გადანაფრენი –
წლები –

ტკივილებს მთვარეს უნთებენ
და თან მდევს შიში

მდუმარ ტაძრების,
ფარული ცრემლით ნასათუთები...

ვედრებით გაცვდა –

სიტყვა,

ლრუბლების ჩრდილი გადასდის
მიწას ზვირთებად,

მიუწვდომელი მიხმობს ეთერი –

ვარსკვლავთა ცივი სხივით ირთვება...

ზეცავ,

შორეულ მონატრებებით
ისევ მიბიძგებ ზღაპრულ ბილიკით,
ავიმართები,
თან მდევს შემშლელი
ამქვეყნიური სევდის ბილინგვა...

უსასრულობას —

ბრძენს და უჩინარს,
სარკმელი დარჩა დაუკეტავი
და ამ ღვარძლიან საუკუნიდან
თავდახწეული

ვილტვი კენტავრი...

50

და ჩემგან ლტოლვილ
წამზე დამსხვრეულ
ამაოების ძრწოლით კირთება —
კოსმოსის ზღურბლი,
შეუცნობელი,
ჯოჯოხეთური,
ცეცხლით ირთვება...

ვენიპსური ვევბანი

ისევ თავიდან
ფერფლიდან და...

აი, სალამო...

უნდა წამოვდგე
გაოგნებულ ცნობიერებით...

ვუცქერ: ლამეთა სახრჩობელას
ვეღარ მამშვიდებს
ფიქრი
თანმდევი ამაოების...

იყო წარსული —
იქნებ შევძლო გადავიღამო —
ვნებათა ცეცხლი გაილია
გაქრა მინაში —
თვითუარყოფის
სინანულით დაგემშვიდობე
და რაც ამოვთქვი
მკვდარშობილი ამოვლერლე
მე ეს სიმღერა:
დამუფლებია
მრისხანების თან მდევს აჩრდილი
და ვინც უარმყო
დიდებისთვის გადამივიწყა —
მუზები დუმან შებოჭილი
ცივი გონებით —
ჩემი უმწეო სიყვარულით
მე შენ წინაშე...

ისევ თავიდან
ფერფლიდან და დაუსაბამოდ —
სარკმელში ბრწყინავს მზე
ღვთაებრივ ცნობიერებით,
შევცქერი:
სარკე იქერცლება მენამულ ზეცით
მოსწვეთს ლაჟვარდი
გული ცისფერ სისხლში ბანაობს...

საღამოს ინტერიერი

მოწყვეტილ ყვავილს
დრო არ რჩება სინანულისთვის...

ოქტომბრის მნუხრში აღესრულა
გაზაფხული —
ურცხვი გენია...

სარკმლის მინაზე მისრიალებს,
ჩემგან იჩქარის —

მემშვიდობება
წვიმის ბილიკით
და დაკარგულზე უფრო მნველია
დაკარგვის შიში —
მთელი ცხოვრება...

მარტოობა სანეტარო უცხოობაში
და ღვთაებრივი
ჰარმონიის წვდომის ექსტაზი...

მოკლებულია დრო ყოველგვარ
მარადისობას —
ტკივილის აბსურდს
სიამეთა აბსურდი შეცვლის...

გამრუდებული ბედისწერით
ჩახერგილია აღსავლის კარი —
დაქრა იმედი წარსულიდან დავიწყებამდე...

ახლა
მაღალი მესერი სჯობს
ჰორიზონტამდე მანძილს...

ხსოვნაში,
სადაც ალარავინ მეფობს,
ბუღობს არყოფნა —
სიცარიელე
სავსე არის მუდამ არყოფნით...

54

ღამეში ბოლავს
მთვარის თეთრი
თეთრი
თეთრი უსურვილობა...

გალოთდა სული —
ვეძალები ფიქრის ოპიუმს...

სიცხადე

თმაში ჭალარა,
 სულში ეშმაკი —
 შიშველ წვივებით თოვლში აპრილი,
 დუმს და მიღიმის
 ასე სრულქმნილი...

ვწუხდი:
 არასდროს არ აყვავდება...

თმაში ჭალარა,
 სულში ეშმაკი —
 შიშველ წვივებით თოვლში აპრილი,
 მახსოვს, მელოდა —
 გახმა ტყემალი...

ვწუხდი:
 არასდროს არ აყვავდება...

თმაში ჭალარა,
 სულში ეშმაკი —
 შიშველ წვივებით თოვლში აპრილი,
 ცრემლში დაიხრჩო
 ის გაზაფხული...

ვწუხდი:
 არასდროს არ აყვავდება...

თმაში ჭალარა,
 სულში ეშმაკი —

შიშველ წვივებით თოვლში აპრილი,
ჯიუტად ყვავის
ეს გაზაფხული...

ღვთაებრივს,
მხოლოდ სიტყვა ედრება...

განდობა

გამინაპირა შემოდგომამ...

გაზაფხულის შიში ყვავილობს
ყვითელ ფოთლებში
სულგანაბული...

ვერ შევიძელი,
ვერ დაველნიე
უკმარისობით გაშმაგებულ სიცარიელეს
და ბედისწერის აბლაბუდაში
ათროთოლებულ აზრს
იმედით წამლავს
განწირულების რეალობა...

ფათქუნებენ შავი გედები...

მთვარის ავსების მისტერიას
იმედებს უქრობს
უძინარი ღამეების სიგრძე...

შედედდა
და დაკრისტალდა ბიბლიური
სასოწარკვეთა:
დიდი დრო,
მცირე დრო და დროები...

სამყაროს დაუსრულებელ მეტამორფოზაში
ქვეცნობიერი ისვენებს —
შენს სახეს მალავს —
ფრთებს გაფარებს
ჩემს გულში ღამე...

ისე დაღამდა
და გულგრილად დამემშვიდობა
მზე —
ნუთუ მართლა არაფერი
ჰქონდა სათქმელი...

ଭାରତବିରାମ

შეძლებ ოდესმე ყოველივე
გადამიმალო,
რასაც მიელტვის
თვალი ჩემი

۸۳

გული კრთება,
თუ სწრაფვის მიზეზს
არსებობის მძაფრი წყურვილი —
ტკივილი, სრულქმნის
ხორცსშეასხამს აბსტრაქციაში...

ვერდატეული
ჩემს სხეულში სული —
ცის ლანდი,
სამყაროს სრულქმნის
სიყვარულად გარდაიცვლება,
სიცოცხლის ჟინით ავხორცი
და სწრაფვით გრძნეული,
ღვთაებრივია
იდუმალი ეს მისტერია...

სიამის ტყუპი —
თანაგანცდა, შლეგი და ურჩი,
ცრუსხიანი,
ნყვდიადის ბკე,
მზის პარადოქსი —
ცრემლიდან
ცრემლზე მოგიზგიზე,
ჩვენი გულები,
ურთიერთტანჯვით საზრდოობენ
ერთურთს ელ

ზღვარდაუდები აგონია —
 ბორგვა სატანის —
 სურვილებთან ომს მოვიაზრებ
 გარდუვალობად,
 წლებს მსხვერპლად ვწირავ
 გარდასახვის მეტამორფოზას —
 სიცოცხლეს,
 ამით
 საკუთარ თავს ვუახლოვდები...

და
 უძლეველი ჩემ წადილში
 რაც განტოტვილა;
 თავზარდამცემი,
 ჰარმონიის შემშლელ ლოგიკად,
 დაუფლებია ჩემს გულისთქმას
 და რითაც მთრგუნავს:
 პოეზიაა —
 შერიგება საგანთან ჩრდილის...

დრო —
 წარსული და მომავალი —
 რაც რომ ჩემშია —
 დაუსაპამო —
 განფენილი უსაზღვროებად,
 გულს განდობილი კოსმიური
 უშურველობით,
 მბრძანებლობს სიტყვა,
 ღვთაებრივი —
 სინათლით თბება...

ცისარტყელას ფერფლი

მე ბევრი უცხო ზმანება მახლავს...

გაძნელდა ყოფნა –
მოლოდინი დაუსრულები...

სამსალა გვასვეს,
ბაგეები ბავშვობის თაფლით
მაინც გიბრწყინავს,
მეუღლევ ჩემო...

დემონურ წადილს მიჯაჭვული
ძლივს გაიმედებ
დანაწყევარი,
რად გაშინებს ჩემი პროფილი —
გალაქტიკები მრისხანების უხმო ძეგლებად
ჩანან
კოსმიურ გაოგნებად ცნობიერების...

მიმწუხრის ფარზე მიმობნეულ
ვარსკვლავთა ციმციმს —

სივრცეს,
მივუგდე ფრენის ჟინი —
ბჟუტავს ნათურა,

გული
შენ გერგო,
ირონია ცდუნებულ ლანდებს —
დავიწყებიდან გამოხმობილს
კაცურ ღირსებად...

გულისთქმას ვუსმენ,
 არ მეხსნება —
 ზეცა მეძახის,
 შენდობას შეგთხოვ,
 სჯობს, გავსხვისდე დასაბამიერ —
 გამოვლილ გზაზე წყვდიადი წევს —
 წყვდიადებს ზარავს...

მომელის,
 ვიცი,
 მკვდრის ნიღაბში გაუკვდავება...

იყუჩე, ბავშვო —
 მარადიულ ლტოლვავ ადამის,
 სიცოფეს ვძლიე,
 შეგიყვარე
 და მტანჯველ განცდას
 იდუმალება სულს ლაჟვარდის
 ფრთებით ემთხვია...

ამბიციების სკივრიდან

ზოგენების გარემოცვაში ვცხოვრობ...

ჩემი ცრემლი —
ლრუბლიანი დღის კარნავალი —
დედამიწის მოდური ბრწყინვალებაა...

შადრევანივით იცლება გული...

სიტყვების ჭრელა-ჭრულათი მორთულია
ჩიჩილაკი,
და
მახვილზე მჭრელია იმედი...

ბოლომდე შეკრული ღილების ეტიკეტს
და ასკეტიზმით თავისუფლებას
გარდუვალობის შიშით
განვასხვავებ...

გარდასულის პირმშოა გულისთქმა...

დუმილი ფარავს სილაჟვარდის განცდას,
სილაჟვარდის წიაღს
და სისპეტაკეს...

გაანჩხლებული კივის ელექტრონიკა —
მხეცი,
შინაური და უწვრთნელი...

წამლეკავი სიზმრებიდან მოედინება
წინათგრძნობა —
ტოროლები მოცვივა გამთენის
ურუნა ღრიჭოში...

სისხლის ყოველ წვეთს უფრთხილდები
და,
უმეგობრო დელფინი,
ზვიგენების გარემოცვაში ვცხოვრობ...

ქვეყნის კულტურული და სპორტული ციფრები – 7. 1. 92 წ.

აპოკალიფსი –
მისტიური გმოსავს მანტია,
ჩემო ქალაქო....

ღვარძლმა წალეკა,
მოაოხრა,
დუმან ქუჩები....

ქალწულებიც კი უხმოდ დადიან,
თვალდახრილები
სახეს მალავენ....

ნაგრიგალარი —
სასახლეთა ბოლავს ჩონჩხები —
არყოფნის სარკის ნამსხვრევებზე
მზის მკვდარ ყვავილებს
უკრეფს წარმართი
მათ
დღეს, რომელთაც....

ქამელეონთა ფიტულების დეკორაციამ
აზრი დაამხო მეტამორფოზის –
საწყალობელი დემოკრატია –
აბსურდის გვამზე ხავის ზარნაშო....

თვალს ეფეთება დათოფილი
თეთრი ტაძარი....

ნეტართ
მათ კაცთა....

ვინც გადაეგო გულისწყვეტით
ამასოფლიდან...

ნეტავ მათ
კაცთა...

66

აპოკალიფსი –
მისტიური გმოსავს მანტია,
ჩემო ქალაქო...

რად შემიყვარე, ღვთაებრივო,
სასოწარკვეთით...

ღედავ-მარიამ...

სისხლის ნვითაში

დაემხოს უნდა დასამხობელი –
ნამოაბოდებს
მფრინავ იკაროსს...

სიტყვა უტყვია –
იქნებ წყეულმა სისხლის წვიმებმა
გადაიკაროს...

სიკვდილი მეფობს მდუმარ ქალაქში –
თალხით შემოსილს
ვუცქერ ასულებს...

მოსთქვავს გულისთქმა –
ვუცქერ ტაძრების მაღალ გუმბათებს
ცამდე ასულებს...

შურმა იმძლავრა —
უსინანულოდ,
აღარვის შერჩა მზის ქვეშ ადგილი...

ღვარძლმა წაბილწა
და მოახერა
თავისუფლების ცნება ნამდვილი...

გაუცხოვებულ სახით
ნიღბები
თვალებს მაღავენ ცრემლის მინაში...

აქ მრავალს ერგო
ცოცხლად სიკვდილი
ჭეშმარიტების ნათლის წინაშე...





დაემხოს უნდა დასამხობელი
დრო ულმობელი
და შესაზარი...

მარადისობის ღვთაებრივ ნებით
ამაოების
ბოლავს ვაგზალი...

წვდომით უმაღლესს —
 სიკვდილს ვერთგულებ —
 უშენობიდან თავის დალწევის
 აღარ არსებობს
 რაიმე სხვა გზა...

საკუთარ თავის უარყოფით
 უარყოფამდე
 მივედი და სულს
 მონატრების სიცივე აჰყვა...

ეგ შენი მზერა —
 ჩემს თვალებში ცრემლი გაცივდა —
 არ მტოვებ არსად...

შევფარებულვართ დროს —
 უჟანგავ მარადისობას
 და რეალურ
 და ირეალურ პოლუსებიდან
 ერთურთს ვესწრაფვით
 და უძლეველი —
 სიყვარულით განუყოფლობა,
 ჩემდა იმედად ცად მეგულები —
 მმფარველობ ახლა...

შუქრიდილები

შეკრთება გული –
გამთლიანდება დრო წამიერ
მდუმარებაში...

72

და

რაც ბინდის ერთფეროვნებამ გადამალა
სინათლე ანაწევრებს და
ურთერთს ანდობს...

სარკმელში ჩანან
გრძელი ზამთრის მომელოდინე
ქვრივი ხეები...

უსასოობით დათრგუნულ და
მარტოობით შემოსაზღვრულ ავანსცენაზე
აუსრულებელ ოცნებათა ნეგატივი,
მისტერიულ სამყაროს
გამიმულავნებს...

და

ილუზიური განცდის ოპიუმი
უმწეობის შეგრძნებას
ათრობს...

დიდიხანია

ჩემგან გაუცხოვდი და
განთიადის სიმღერებიდან წამოფრენილი
ლამეში ლამურები –
ბინდის ნაფლეთები ფრენენ...

ამოძახილი

სული სხეულში მომწყვდეული
სივრცის ლანდია...

შედედდა ცრემლი,
დაკრისტალდა და ვარსკვლავად იქცა...

ახლა

მე ძალმიძს შევიფარო სასონარკვეთა –
გარდუვალობის მიზეზთა მიღმა
ავანსცენაზე
აროკდა ქარი...

მე ვწუხვარ თქვენზე,
ვისაც მკვდრის მზის ლიბრი გეფარვით,
მე ვწუხვარ თქვენზე...

დღე სასტიკად უიმედოა...

შევენირე თუ შემიწირეს –
დუმილის ფართით გადამალეს
და მიუწვდომი
გახდა ნათელი...

უსიხარულოდ ამოვლერლე ბოლო აკორდი:
მუნჯი,
ერთფერი,
უსახური, უმისამართო.....

უდაბურ ცაზე მოლივლივე
წყეულო ლანდო –
სიცივის სუნთქვავ,

დაუნდობელ დღეების ხროვავ...

სიყვარულისთვის დაბადებულს
გულგრილობამ
გამიშრო ცრემლი ...

გამხელილი პარამეტრები

მე შენით ვპოვე სახე ჩემი —
აზრი ყოველი...

შენ ხარ მაღალი,
შენ ხარ მჭერი,
და განცდა მსგავსის,
ჩვენა ვართ ორნი,
არასოდეს ვყოფილვარ ერთი...

ერთმანეთში რომ ერთმანეთი
გადავარჩინოთ...

შენ მზეზე გიდევს მრისხანე ტორი
და ერთმანეთის მოლოდინი
ვართ სამუდამო —
ჩვენა ვართ ორნი —
არასოდეს ვყოფილვართ ერთი...

დაწყევლილია მისტერიით კაცის გუმანი...

ნათელზე ბრწყინავს სიშორის ტოლი —
დრო,
არის ფიცი,
სიყვარულით თავდავიწყების —
ჩვენა ვართ ორნი,
არასოდეს ვყოფილვარ ერთი...

ჩვენა ვართ ორნი,
ერთმანეთის თავდავიწყება...

ნისლის ტაქარი

ვის აემგზავრა
ჩუმი ცეცხლის უტყვი მდინარე —
უხორცო კერპთა
მიმქრალი ლანდი...

76

ცრუშები აცვე

გაძარცულია გარდასულით
ეს განშორება,
ვინ მომაჩეჩა გარდაუვალი —
ამ მოლოდინის ზღვას რა
გასცურავს...

გაწყდა მოთმენა,
ნოემბერი დადგა,
დამდოვრდა,
მზე ჩაჭკნა ლაჟვარდს,
ლამეები
საშველს ითხოვენ...

დაქრა უსივრცო შემოდგომის ცა,
თვალსაწიერი უშენობით
დაკარგულია —
მელანქოლიად მთების გრეხილზე
აბობლებულა
ნათლის ჭრიალი...

დამარხულია გულში ვარსკვლავი,
მიყინულია
გულის კიდეკარს...

ენძელას ტრფობა გამომიყვანს
 თოვლის ხნულიდან
 და მკვდარ ხსოვნაში აფეთქდება
 ისევ აპრილი...

ჯერ კი ჩრდილია
 ჩუმი ცეცხლის უტყვი მდინარე —
 უხორცო კერპთა
 მიმქრალი ლანდი...

ჩქამიც არ იძვრის,
 ნისლის კუბოში
 ჩაწვა მომაკვდავ დღეების რიგი...

ფილი სევდის ტოტეპზე

შენი დაკარგვით მოვიპოვე,
რაც მოვიპოვე...

78
ცხადობები ასევე

და გული გგესავს —
რეკავს,
ანგრევს ტაძარს ზარები;
ნუთუ გადარჩა ნატერფალი
განშორებიდან —
ისევ აყვავდა შემოდგომა —
ყვითელი ვარდი...

ვჩურჩულებ,
ვწუხვარ,
მოლოდინი შენ გეკუთვნოდა,
წარსულით წახდა ჩემი წარსული,
გაცრუებული იმედების სასაფლაოზე
ჰყვავის უდაბნოდ დაკარგული
უსასრულობა...

რაც უკვე იყო
მზის ტოტებში ელვამ დალია,
არრა იყო რა მშვენიერი
კვდომის გარეშე...

თვალშეუბამი ეფემერა
ზღაპრად შთენილი —
იდო მაგია იმ უმალლეს ნვდომის
სურვილში...

ცხოვრება გაცვდა,
სხეულიდან ქანდაკს აღვმართავ,
ვერაფერს გეტყვი,
თუ ყველაფერს გამოვიგონებ...

რომ გავიხსენო მომავლის ცა,
წარსული მმოსავს —
მოკვდავთ დიდების
დღესასწაულს მაინც მოველი...

პროპრიციეპი

ნაზამთარალი დღე —
აბუზული
მენამულ თოვლზე ჩხავის ყორანი...

80

უბერავს ქარი —
ხსოვნა,
ავად მოსაგონარი...

დაფრთხენენ ხილვები
და ქალაქი ჰკივის შიშველი —
ბინდი მბრძანებლობს
ამინანქრებს
ბინდბუნდს გიშერი...

ცათამბრჯენები —
კოშმარია კაცთა გონების,
გადაუხდელი

მაძრწუნებენ ხიბლი ომების,
წყვდიადის სარკმელს აჩუქურთმებს
მრუდი ქედები...

დაუნდობელო —
დროვ,
ალარც შენ მეიმედები...

გარდუვალობა — სასჯელია,
ყოფნა — მირაჟი,
ჩემს ყმაწვილურ ჟინს —
მშვიდად სძინავს ქალწულს სილაში...

ჩემთვის ვერ იცლის
და ცხოვრება სახეს მიმალავს —
ვეთამამები
ურჩი ბავშვი საშიშ იარალს...

ომების ექო —
წყევლა ადამის და სახსოვარი,
ბინდის ბადეში
ფართხალებს ბინდი —
მოთქვამს ყორანი...

დიდთოვლობა

მიზეზშივე დევს ეჭვის სათავე —
ნასცდება გულს და სიყვარულით
ამოიძახებს...

82

ცრუშესახე აცყვე

ჭეშმარიტება მევლინება მილიარდ
მცნებად
და მარცვალშიც კი მონუმენტი
კუთავს დიდების...

როცა სიყვარულს ეზიარა,
სამოთხე დათმო
გულმა წამიერ თავდავიწყებით...

ყველა მიზეზთა მიზანია უდიადესი...

ჩემი სიცოცხლე ძალიან გავს
ბავშვს გულუბრყვილოს —
როცა გამხელა ამოუცნობ განცდის
მაშინებს,
ხმამაღლა ვმღერი —
წარმავალის შიში დავიცხერო...

უსასრულობის ნატერფალზე
მიმობნეული
იაიები —
ყვავის ლაჟვარდი
და იმოსება იდუმალი დღესასწაული,
ტანჯვით შობილი
პოეტური ლანდემინებით...

მე ვესწრაფოდი ამბოხებას
 პიგმალიონი.
 ვერ გავიმეტე
 მტვრად მექცია მზეთუნახავი
 და გავამეფე ოცნებებზე
 მარადიული—
 თვალსხივიანი ხატი
 მნათობის...

ყველა ნაცარი წვის ნაშთია
 და ჩემი ლექსიც
 ნაცარია
 თეთრ ღამეების...

მოულოდნელი
 დიდთოვლობა იცის ზამთარმა...

ფრენა ირეალურის ზღვარზე

ვის ახსენდება მიკარგული
ცაზე ფრინველი...

მზე —

84 უდარდელი მიჯნურის ლანდი —
თან დევს ჩემს ლტოლვას
არაამქვეყნიურს...

ვინ მოიტყუა სიცოცხლით თავი...

უეცრად ქრება კომეტის ბრწყინვა
და ერთგულების ხუნდება დროშა —
გამჭვირვალეა
ცრემლების ბროლი...

ეფემერული —

სატევრის ელვა —
მზერას მიბინდავს ცეცხლის ჩქერები.

ვინ,

ვინ შეიძლო

მომნუსხველი თვალების ელვას
გაუძლოს,
გული არ გაუცხოვდეს...

მიმოიქცევა —

ცა, ფიქრობს ჩემზე —
ცა უძრაობით დაფეთებული...

რით მოგაწონო,

მითხარი,

თავი...

მზეთუნახავმა —
 თეთრმა, როგორც მონატრებამ
 ზაფხულში თოვლის —
 ტყემლის ტყეებზე გაზაფხულმა
 გადაიგრგვინა...

პრეისტორია,
 მოზაიკურ ასკინკილათი
 აპრილის წვიმა ჩორთით მოვარდა...

მამონტების ჯოგს მიდენის ქარი —
 ცა იდრიკება ცივი
 და შორი...

შემოვისაზღვრე შენით სამანი,
 დუმს ჰორიზონტზე მოკიაფე აფრა ეული...

ეჩურჩულება წვიმას ჩინარი —
 თრთის მიწის ნერვი —
 ლურჯი,
 მაღალი...

ფასკუნჯის კვერცხი —
 ნითელი მზე,
 ბინდმა ჩაყლაპა,
 მნუხრში
 მნუხარე რეკავს ფოლადი...

ბორჯლალი

მომხიბლე შორით,
უშორესით შემომაქციე,
ნარღვნის სიმშვიდით დაავანე
ჩემში მყოფადი...

86

ცალკეული აცხადება

მზედ ჰყვავი —
მზეში მილეული,
ვპოვე მზის სახე
და სიცოცხლეა
გარდუვალი შარავანდედი...

მე მოკვდავობით დაწყევლილი
ნამზე ვმრისხანებ;
ალერსით ვახრჩობ ქალსა და ყვავილს...

გრძნობის ცდუნებით,
უვიცობით,
ვნებების ჟინით,
ურთიერთისკენ მიისწრაფვის —
ჩეარობს სამყარო...

მდორე ეთერო,
ნათელბინდო,
არვისშობილო,
იყავ ოცნება
და ოცნებით იქმენ პირველი,
დავანებულო ცნობიერით მარადიულში,
მარადიულში,
მარადიულ არყოფნის გამო...

უკუსვლა პირველ სიყვარულიდან

რაც გადიადდა
და გადასცდა თვალი მირიადს —
გულისთქმა ჩემი —
უსაზღვრო და უკიდეგანო —
ჩემი ცრემლია მზით დაფერილი...

ვინ შემომსაზღვრა დასაპამით,
ან დასასრულით...

უძრავ თვალებით იძირება
ჩემში ეთერი,
და ნათლის ჩქერი,
უფსკრულით რომ ამომზიურდა,
ის ან გულია,
ან კარნავალი...

გაფოცებული სურვილთა რემა
თავაწყვეტილი
მიაქროლებს დღეებს თოვლიანს —
ციმციმებს ქერცლი შემოდგომისა —
ცვივა
და ცვივა ნათელს ფოთოლი...

ბედნიერებით გამახელე და მომაჩეჩე
ამ გარდამავალ წამზე ოცნება
დაგარდაუვალბედისწერისქარიშხალიდან,
ზეცავ,
აღმომხდი ლურჯი წყვდიადით...

ჰორიზონტები მიისილა ყანჩის ყივილით,
სიშორეები დადრეკილა
როგორც მტკიცება...

88

ცალკეული აუდი

აპა სიზმარი —
სიყვარულმა ფიფქის კლავიშზე
ააჟღერა
და მხოლოდ ჩემთვის
მთელი სამყარო...

ცივია ხსოვნა —
მისრიალებს,
მიფრენს ღრუბელი,
მივკვალავ ბილიკს არდაბრუნების...

მარიონეტი
ნათელ ბინდში დავბორიალებ,
ეს მე ვარ — იგი...

იგი,
რომელიც შენს ტრფობას შეჰყვა
და ნატვრას შერჩა მზის გალავანზე...

დადუმდა თოვლის ორიენტირით —
ყვითელ ფოთლებმა მოკლეს მშვიდობა...

გადაიღალა გონებით თვალი
და დაწყევლილმა სიყვარულით
დიდხანს გიგლოვე...

აპა, შეება,
სიმშვიდეში მიინავლა დღე
და დუმს უდაბნო —
თოვლი თეთრად გადაფრენილი...

ვარსკვლავები — ნაფახურები

ანთია სივრცე,
სივრცეებით შემოთოვლილი —
დაუნდობელი სიყვარულის ჩუმი მუდარა...

სასოწარკვეთილს მესიზმრები,
და ალარ მყოფნის
ეფემერული —
ვარსკვლავთ მორევი...

გალაქტიკები მძვინვარებენ —
ჩემი სახე აქვთ —
დაგლეჯილია ფირუზის ცა
ელვის ტოტებით
და რად იტვირთე,
რომ მეხილე მუდამ წამიერ
და უსასრულო დავიწყებაში...

ვგოდებ
და ჰყვავი უკუნი მზით,
დროის მორევით...

ო,
დედამიწავ,
სიზიფეს ლოდი მიელია და მიეცალა
ვარსკვლავთ
მირიადს...

და ხომალდების ცეცხლოვანი
ნაფეხურებით
ვწრიალებ ბნელზე
და კოსმოსის აკვარიუმი —
ყოფნა-არყოფნით დამტვერილი
ვარსკვლავები
რიალებენ ბროლის ჭურჭელში,
და ცივ ნათებით გათანგული
მთვარის სხეული...

შავთეთის ცისარტყელა

ჰყვავის ბილიკი,
მზის მოზაიკით მოკირნებულია
ქალაქები
ჩემი უამთასვლის...

90

არას იმეტებს დღესასწაული,
თვალი ერთობა
ყოვლისმტვირთველი...

გადამივიწყა,
გული წარმტაცა,
ფერი და ფორმა სრულქმნის
პარადოქსს...

მარტოობისთვის ვინც გამწირა —
მან შემიყვარა,
აღარ ჩამესმის მისი ჩურჩული...

ათასწლეულებს გამოვალნიე,
შემომცეკერი და
ვეღარ გიცვნივარ...

ნამეხარს ვგავარ,
ჩემი ბავშვობა — ზღვა იფოფრება
ხმელეთს მომწყდარი...

ამაო იყო,
სიყვარულით ვინც მცა ნუგეში,
ვერ ამარიდა ბედისწერის
გარდუვალობას...

მზე,
 თავის ჩრდილქვეშ სანმოთეული —
 ღრო,
 თავისთავსვე განადიდებს,
 ჩემით ერთობა...

ჰყვავის ბილიკი,
 მზის მოზაიკით მოკირნლულია
 ფსკერი ჟამთასვლის,
 მუდამ სიმშვიდით და სიამაყით
 ეფემერულა მისი მშვენება...

გარადი ექო

მარადისობის მკაცრი მდევარი —
წარმავალობის ბასრი ეშვები —
ათინათები
წივის მინაზე...

92

ცრუშესახე აცყვე

გაიკომეტებს —
გასხლტება წამი,
და ვცდილობ,
ძრწოლას გადავარჩინო
ხილვა,
გრძნობა და ლაჟვარდი შორი...

გულში ალიძვრის: ფრთხიალებს რიტმი
და კამერტონის ექო —
მახვილი,
წინ,
წინ მიბიძგებს,
მიდი, დაიპყარ...

სამყარო —
ჩემი წინაპრის გენი,
ჩემს გულისთქმასთან მოგებულ ომებს
ასგზის მთავაზობს
ისევ თავიდან...

უსასრულობის დამთრგუნველ
განცდად
მესმის: ყვავილში ნაყოფი გოდებს
და მოძრაობის მისტიკურ წადილს
დასჩეავის ყვავი —
მელანქოლია...

მზით გაუღენთილი ფოთლები ცვივა,
ოქტომბრის ყვითელ ნაფეხურებს
ვტორავ კენტავრი...

ვინ განმსჯის შეშლილს —
სიყვარულით თავდავიწყებულს...

ଓଡ଼ିଆ

დღესასწაული...

ორგიები...

94 მთვრალი მაისი...

მე ზღვა სიყვარულს
ვეღარ ვიტევ,
ვეხლები ნაპირს...

პორიზონტის წაშლის ფიქრის თოლია...

დღების იქით,
წლების იქით დანთებულ იმედს
ამოაპრეცინებ დასასრულიდან...

თუ ვებრძვი ნაპირს,
ჩემს სურვილზე ვიყავ მაღალი,
გრიგალი დაცხრა,
სიჩუმეზე დავარდნილ სივრცით...

მიყვარხარ,
ლამევ —
დუმილის ფსკერო...

ეს ცრემლი მთვარით სხივებულევი სიხარულია...

ცეცხლი ნიჟარაში

პრეისტორიის კირქვის ტალღები —
შლეგ აფროდიტეს
ქიტონის კალთა —
მიჭირავს კვერცხი —
სიყვარულის უმწეო კვირტი,
კოდირებული
მარადიულ სექსუალობით...

გამოკეტილი დახშულ გუმბათში
ჯერ განუცდელი ტანჯვის
საზრისი —
საკუთარ მრნამსში დუმს ბედისწერა...

მისტიკურ ნიღბით ილანდება
ჯინი ჭურჭელში —
სიცოცხლის რიტმი,
ალკოჰოლურ
სიმძაფრით მათრობს...

შეძრწუნებული გავურბივარ
ანგელოზის განსხეულებას —
ღვთაებრივ ნებას,
ირეალურ ფარ-მუზარადით...

გაქვავებული ტალღის მაქმანი
შლეგ აფროდიტეს
ქიტონის კალთა —
თეთრი ნიჟარა,
მიჭირავს,
ვუსმენ:

ისევ ჩურჩულებს —
მიმოიქცევა,
დრო —
ეშაფოტი, გარდუვალობის...

სინათლის სტრიპტიზი მთვარის ამფორაზე

სიცივის ფერფლი –
 უნაყოფო სინათლე მთვარის –
 ღრუბლებს მოუსხამს ღამის ჩრდილთა
 მდუმარებაში...

ქვებზე აგდია აბრეშუმის
 ნაგლეჯი თალხი —
 თანმდევი ლანდი —
 ორეული,
 არც ვისი მსგავსი...

გონიერი ჩემი
 პარადოქსულ ხილვებს ასხივებს...

დაფარულს ჩემგან –
 შეგთხოვ,
 არ თმობ,
 მარადისობავ,
 და ამ ამაო წადილიდან თავდალწეული,
 მივაპყარ როცა ჭეშმარიტის
 ძიებას თვალი,
 ჩემი ცხოვრება
 არსებობის მსხვერპლად აქციე...

მტანჯველ სიყვარულს —
 ჰარმონიულ ხილულ ირგვლივეთს,
 შევწირე წლები —
 ღლემდე შლეგის თავისუფლებით
 მოვედი
 და ღროს სიმკაცრისთვის
 რაღად ვედავო,

ან გარდასულით უძლეველ
და სრულქმნილ დიდებას...

ძლივს გამხელილი
და მოკვდავის უგვანო შიში
მთრგუნავს
და დაძრნის ჩემი სული
შენს მონუმენტან...

გონება ჩემი პარადოქსულ
ხილვებს ასხივებს...

ԵԿԱՐԴԱԾՈՂՈՒՄ ՀԱՏՈ

ცა-დადრკა ლამე,
ნვიმს,
ნამოსცდა ცრემლი ფარული —
ჩემს ცისფერ თვალებს მწუხარება
ალარ ეთმობა...

ყოფნა – არყოფნის ილუზიით
შებოჭილ წამებს,
მეც მივემატე სინანულად -
თვითუარყოფად...

აზრს კარგავს როცა გაზაფხული
უსიხარულოდ,
უსიყვარულოდ ვინდა შეძლებს
ცრემლის ატანას —
აღსავლის კართან ჩამობერდა
ჩემი პროფილი,
ვდუმვარ
და
ჩემ სულს დაეჭვება —
იპყრობს სატანა...

აღდგომის რწმენა
და ცოდნა, რომ უნდა გათავდეს
უაზროდ თვლება –
დღეს აღაგზნებს
გადასაფრენად...

სადაც სფინქსების მდუმარ ნათელს
დარაჯობს ჟამი –
შიშვლდება აწმყო
და, არყოფნავ,
გეძახი:
დედას...

100

მრისხანების დღესასწაული

შენცა, ბრუტუს?!

**ბედნიერი ხარ,
კეისარო...**

მემატიანევ,
მადლობა შენდა,
მაგრამ ხანჯალი გალესილი
ჩემთვის სად არის...

რატომ არ დამცემ!
სამუდამო განსასვენებელს
დაიცხოს გულმა —
მზემ —
ლალადი ამაოების...

ო, საუკუნევ,
სიცოცხლეზე წერტილის დასმას
პირმოელვარე სატევარით გადაეჩვიე
და მოჭარტალე დედაკაცის შხამით ივსება
მამაკაცური ნებისყოფა...

სადა ხარ, ბრუტუს —
მეგობრობით დალლილო გმირო,
დრო რომ არ მექცეს სინანულად,
სისხლით განწმინდე ჩემი მანტია...

**ბედნიერი ხარ,
კეისარო...**

სადა ხარ, ბრუტუს?!

გისტერია

ძლივს გადუმალა გულგრილობას
ხსოვნამ ტაძარი...

მძვინვარე გულის სამსხვერპლოდან
ქარის ვედრება
უბადრუკ განცდას მომახურავს
და ცივ ურუანტელს
წამკიდებს —
სევდა მერეკება
ამ ავბედით ყოფითობიდან...

ფიქრი ესწრაფვის გადაფრენას —
თოვლი ტრამალზე —
იდუმალია ჟინი სურვილთა...

ამოიგმინა დაისის მზემ —
ცას მილურსმული ცრის საფირონი,
მენამული კვდება გენია...

წარსულით იყო დაღდასმული
ან გარდასული?
ამაოება
უბადრუკმა დრომ დაიტირა —
დაკარგა ხიბლი მდუმარებამ,
თოვლის ცა მშიერ
ასრტალურ სივრცეს გამოეყო:
ძრნის ორეული
ამოსუნთქვამდე უკანასკნელ
გაფიქრებიდან...

ძლივს გადუმალა გულგრილობას
ხსოვნამ ტაძარი...

რეპროგნოსტიკა

შეურიგალი
 დაცხრა გრიგალი —
 მზე ბორიალობს ლანდთა ბინდებით,
 შორეულდები —
 ღმერთო,
 ამ ტკივილს,

ნუთუ
 არასდროს მოისაკლისებ...

დემონიური
 ცეცხლი ციური,
 გადალევს ხსოვნას,
 სისხლი ბინდდება,
 გამიჭირდება
 მარტო უფალო,

ნუთუ
 არასდროს მომისაკლისებ...

სული აბოლდა
 ცისკენ წვეული,
 საცაა,
 ხორცი ლეშად იქცევა,
 მიმოიქცევა
 ცა უშურველი —

შენ,
 ალარასდროს მომისაკლისებ...

ტაიმაუტი

ამაოდ ვრეკდი...

სულ ამაოდ მიყვარდა ცეცხლი,
ცეცხლი და ქარი —
საძირკველი ჩემი ცხოვრების...

ამაოდ ვრეკდი...

ვერ შევაღე დახშული კარი —
მინელდა ცეცხლი
და დადგა ქარი...

უკმარისობით დაუთრგუნველს
და ტანჯვით ძლიერს,
აღარ მეთმობა წარმავალი
ხიბლი დღეების...

წყურვილს უპყრია ჩემი გული —
მზე მიწურვილი,
აღარვის ვუხმობ,
არც ვეფერები...

რაც მივამატე კაცთა სათქმელს,
ამოვთქვი წყევლით —
განადგურებით მომკიოდი მრავალი
ნელი
და შვებას თუ მგვრის
ახლა ეს ცრემლი —
ნუთუ ამაოდ რეკავდა ზარი...

ილუზია — თოვლი

ცივი უსასრულობის წრეზე
დაეხეტება
სული —
თეთრი სინათლე,
ილუზია თოვლის...

უკარება და უნდო
კოსმიური ბილინგვა,
სიცოცხლის განაჩენი,
სინანული ყოვლის...

განცდილს —
დამჭკნარ ყვავილებს —
დღეს უმიზნო გლოვიდან,
ვუცქერ —
ალარარსებულ რეალობას შორი...

სულსწრაფ წარმავალობას
არყევს უინი ცდომილთა,
სიყვარულს და სიძულვილს —
პარადოქსის ჭორი...

მომნუსხველი ცხოვრება —
ბრმა,
გორგონას თვალები —
ოცნებების ფიტული,
ფერუხვი და უტყვი...

არსებობის სიმართლე,
ჩამფრენია ბრჭყალებით,
ჩემი მზერა ზვიადი

ხარბია და კუშტი...

ბორბლის უსასრულობის წრეზე
სულის ხეტიალს,
მსხვერპლად ვწირავ კამათელს
არყოფნის
და ყოფნის...

უკარება და უნდო
ჩემი სული მტრედია,
სული — თეთრი სინათლე,
ილუზია თოვლის...

რეზონი

ერთხელაც იტყვი: მოვედ,
არ დამხვდი,
ვინ უნდა დამემარცხებინა...

შეერთვის წარსულს,
სულ ერთი წვეთი ცრემლი აღაგზნებს
ზვირთად მდინარეს...

დაჭვნა,
ყვავილის ჩინჩინილა შემრჩა,
წახდა სამზეო სიყვარულისთვის...

ფართხალებს...

კვდება...

დამსხვრეული გაქვავდა ფიქრი —
დალრღნა კლდეები ქარიშხალმა,
თვით გაილია...

ნუთუ ამაო...

ეს ბრძოლები მსგავსების იყო
და მდუმარ ტევრზე ოოვლის გვალვაში
მახვილი ჩასცა მზის გაელვებამ...

ერთხელაც იტყვი: ნამლევა წუთი
ცდუნების იყო, ვინ მომაჩეჩა?!
რაც განვიცადე,
რად მეგონა კვარცხლბეკზე მდგარი,
რატომ დამმარხე სიყვარულში
ჩემი სიშმაგით,

ჩემი თვალები
სარკეა თუ ფსკერი გონების...

მე შევიყვარე წამიერი მარადისობა
და ჩემს ძრწოლაზე დაამკვიდრა
გულმა ტაძარი,

ვპოვე ყვავილი —
სიბნელიდან გამოეხეტა ცდუნების სახე,
მშვენიერი სფინქსია იგი...

ეჭვით ძლეული,
ეს დღეები მოუთმენელი —
ფერფლია ხსოვნის,
ცივი და მთვარე
ჭვრეტაში ქრება ალესრულება...

მომეც სიმშვიდე —
სიფხიზლეზე მომეცი ძილი...

მე სიძულვილზე ვმძვინვარებდი,
შენ კი მეფობდი,
მგელს გპატრონობდი,
მოთმინებით გადავიღალე...

ცდუნების იყო,
ვერდაძლევის,
იყო სისუსტის...

სიყვარულისთვის ჯოჯოხეთზე
მერგო საფლავი...

ერთხელაც იტყვი: ნუ განსჯი ავად,
მოგზაურო,
განვლე უღრანი,
საკუთარ წყურვილს ჩაფრენილი
და უდღეური,
ადამის ფიქრზე გაფოთლილი
ფითრი შრიალებს,
დღე წამომდგარა
გადამწვარი
ძლეულ განცდიდან...

აღარ ვწერ ლექსებს
და ჩემს შეშლას ქარი აპირებს,
ბოლავს ცისკარი ნისლიანი და
ამაზრზენი,
წარსულის ლეშზე მოზეიმე
უნდა გამწირო —
ლაშსისხლიანი კივის აფთარი...

ყორნების გუნდი მიყრანტალებს
იკლებს ალიონს,
გადასძოვს ქალაქს
ჭუჭყიანი ღრუბლების ჯოგი,
ამ სიყვარულმაც ამიკლო და გაატიალა —
ასფალტზე კვდება მოფართხალე
ალვის რტოები...

ერთხელაც იტყვი: ვპოვე ყვავილი,
სიბნელიდან გამოეხეტა,
და გავიფიქრე: ცრუობ,
ყვავილო,
შენც ნაყოფის მოლოდინი ხარ...

გაფადორი

ცნობიერების ფეიერვერკი
მბრწყინავ ცდომილთა —
ომებს გადაჰყვა სიჭაბუკე
და წინ კორიდა —
110 გავეშებული ისევ მიხმობ
ბრძოლად, სამყაროვ,
და ბრძოლის უინი რით დავიცხრო,
როგორ დავმალო...

დაბადებიდან
შეძრწუნებულს მშვენიერებით,
თვალს მტაცებდა და მაბრმავებდა
ხიბლი ომების,
თავდალწეული სიკვდილის შიშს —
მაღალ ბარიერს,
ბობოქრობს სული დაუმცხრალი
მარად —
ნამიერ...

ცხოვრება ჩემი
ფეხქვეშ თელავს მაცდურ მირაჟებს,
გაკერპდა გული —
ლექსს ვუძღვენი მთელი სინაზე
და სიხარული სიტყვის ფლობის
როცა სრულებით,
მომიცავს,
ჩემთვის არ არსებობს სასწაულები...

და თავბრუდამხვევ ფეიერვერკს
მბრწყინავ ცდომილთა,

გეძახი — ტორო,
ოლე,
ოლე — ჰკივის კორიდა,
გავეშებული როცა მიხმობ
ბრძოლად, სამყაროვ,
ამ ბრძოლის უინი რით დავიცხოვ,
ან რად დავმალო...

სათამაშო

დიდხანს მიცერდნენ დაეჭვებით
დედის თვალები —
როგორ
შვენოდა მზეს თავგანწირვა...

112

ცრუშები აკეცე

უარყოფილი ლექსს ვეკრძალები
და ხშირად ვყვედრი თავს სიჯიუტეს...

ფესვზე მოგლეჯილს მალე სცვივა
ყვავილს ფურცლები —
დავბადებულვარ
მე სამყაროს გასაოცებლად...

გაოცებული
სიკვდილმაც კი გადამივიწყა...

დიდხანს მიცერდნენ დაეჭვებით
დედის თვალები...

დუმილის ანაბეჭდი

წამოფრენილი
სივრცეზე დროის —
უქარქაშოა მზის გაელვება...

სამრეკლოები ამოჩრილა ქალაქის თავზე —
ტანჯვის ფასია
ყველა მიზანი...

რამდენ მოლოდინს მტვერი დაედო —
თავგზა დაკარგა
ყოფნის ზღაპარმა...

შენი სიცოცხლე —
ნოსტალგია ჩემი თვალების —
სიყვარულისთვის ვინც გაიმეტა,
ქარს გაატანა მუხის ფოთოლი...

მარცვლის ფუნქციამ სრულად იტვირთა,
ყოველი აზრი და მისი მცნება —
ბევრი ვუარე პანდორას ყუთს,
ასგზის ვეცადე,
ვერ ჩამოვგლიჯე კუპრის კარები...

ოცნებაშივე თვალშეუბამი
ცეცხლოვანია მზეთუნახავი...

ტყემ აიქშია ფოთლების ცვენა —
ფიქრი ამაღლდა
ფიქრით ზეცამდე...

იქით მილიონ საუკუნეთა
ღველფზე მძინვარი
ერთადერთია
ის გაზაფხული...

114

ნუთუ მშვენიერ
შენით იყო ის ყოველივე,
ო,
რა სასტიკი გახდა უფალი...

პეიზაჟი

ცათამბრჯენების ტევრში
 დამფრთხალი
 მზე უირაფივით
 მოყელყელაობს,
 და გადაკარგულ ფრინველებით –
 უსივრცობაში,
 მგლადქცეულა,
 ჩემი გენები...

მიჭედილია ცად თვალები
 და ამწეებით მიბაჯბაჯებს
 ტყეებისკენ
 მძიმედ ქალაქი...

ქვეცნობილი იგაულსები

მე დავიბადე ალბათობად
ჩემი წინაპრის...

116

ცაჲშვილი აკევ

ფერთა სიუხვემ გადამალა
ჩემი სიბრძავე,
ველურმა ჟინმა-ფორმის სრულყოფა...

სიცოცხლე გრძნეულ იდუმალებით
ბრწყინავს უფსკრულზე
და რაც მებოძა: ვუსმენ
თანხმობის მელოდიას,
იქვე ალიძვრის
და მენანება ჰარმონიის განწირულობა...

მე და სამყარო — პოლუსები,
ურთიერთწვდომის,
გაუაზრებელ უარყოფას
და ნატვრას შორის —
ურთიერთლტოლვით გაცხადებულ
სამოთხით ვცხოვრობთ...

დასაპამიერ —
ლვთაებრივ ნებით,
ჩემამდე აღწევს უცხო და მშვიდი
ხმები
რომლებიც წარიტაცა
ხსოვნამ და ახლა
სცვივა
და ბინდში რიალებს თოვლი...

დამანგრეველმა ცეცხლოვან წამის
ელვა,

გადაწვა ფიქრის ყივილმა,
შემძრა ტკივილმა,
სიმძაფრისგან სული აკივლდა —
ღამეს უეცრად გაეხსნა წყლული...

მე დავიბადე ალბათობად
ჩემი წინაპრის...

მთამომავალო

გავარვარებულ გონებიდან
დაძრულ სიცხადეს
საშოდან წყდება ჩვილი ნაყოფი...

118

ცრუშესახე აცყვე

მტკივა
და ვმღერი საკუთარ თავის
და სამყაროს ერთად შეცნობას...

რახან იტვირთე სიცოცხლის
გრძნეულება —
სინათლის ხილვის სიმძაფრე —
მომეცი ხელი,
დამეყრდენი შთამომავალო...

ხედავ?
ჩაბლუჯა ნათელი წამი,
ელამ ურჩხულმა უცებ გამოხრა,
მტვრის ფიტულად გადააქცია...

შეყვარებულის უძლურებით
ვდუმვარ
ძლეული...

აიფოფრა
და საკუთარი მსხვერპლის გარშემო
თავდავიწყებით აროკდა ქარი...

შეახე ხელი —
შეარხიე ყვავილის ღერო,
ხედავ?

იცვალა სამყარომ სახე...

სიცოცხლეს მშვიდი —
ბედისწერის ნაყოფი შვენის,
სუფთა ფურცელი სისასტიკით
მოჰვავს განაჩენს...

119

საღამოს რეპრეზი

ლაუვარდს
ფრთა მითრევს, მეწამული
მიფრენს ღრუბელი...

120

ცაჲშესახე აკეცე

გაავებული ცეცხლის ფრინველი –
ელვა,
ბინდს გესლავს –
სისინებს შორი –
ბასრი კლანჭებით ჩაფრენია
ელამ ჰორიზონტს...

თანმდევს სიცოცხლის მაგია –
ქალი,
აზვირთებული განწყობა ჩემი –
ტყვიისფერია სივრცე ზეცამდე...

გარდუვალობით კანკალებს სული,
მზის ნამსხვრევებზე –
ფოთლის გროვაზე,
როკავს სიკვდილი –
ყვითელი ქარი...

ლაუვარდს
ფრთა მისთრევს გაგლეჯილი
მოსწვეთს ღრუბელი...

გაცოფებული ცეცხლის ფრინველი –
ელვა,
ბინდს გესლავს –
სისინებს შორი —
ბასრი კლანჭებით
ჩაფრენია
და ფლეთს ჰორიზონტს...

წრეპრუნვა

ის ბრუნავს,
ბრუნავს,
მიწყივ მავალი —
დაურიდებელ ფერთა გრიგალი,
ჩემი სახეა მისი სიმშვიდე,
მიეც მპოვნელი
მპოვნელთა ჩემთა...

მკითხავ: და ყოფნა?
მკითხავ: არყოფნა...

დაუსაბამო —
დღე და ღამე —
ბრუნავს მესერი...

ჭრიალებს ლერძი ყოფნის,
არყოფნის —
გზა არის მუნჯი,
გზაა დილემა...

გიზგიზებს გული —
ცეცხლი დაღამდა,
თხემით ტერფამდე არცოდნის
ზღვაა —
გაცხადებამდე კვდება ყოველი...

სამსხვერპლოს დაგმობს
შემწირველიც
თუ თვით მსხვერპლია —
მოკვდავის ჟინით ვინ შებედა
ყოფნას

ამაოდ...

მაღლა
და მაღლა
მზის მტვირთველი დაქრა ნაპირი...

122

შენ საით,
დღეო,
მოლოდინი თითქოს გაქვავდა...

ମେଲିରି

მზე ილულება...

ბინდის ყვრიმალებს —
მწვერვალებს,
ჟონავს სისხლის ყვავილი...

თავდალნეული ცნებებს საგნები
ნაზ და აბსურდულ
სამოსს იცვამენ...

დამქრალი ვნება —
ჰყოფილები
ახლა
საკუთარ ჩონჩხეს გავს სამყარო...

ცნობიერების ეკრანს გადახევს:
შენი მზერა —
ტბაზე თოლია,
გაკრთება,
ლაჟვარდს ფრთებს შეატოვებს...

მზე ილულება...

ბინდის ყვრიმალებს —
მწვერვალებს,
უონავს სისხლის ყვავილი
და ჩემი სულის ცეცხლის სხეული —
ინვის საღამო,
ორუბლის აბრაზე...

გასხარა — ბრძენი

გაქვავებულა ზღვა —
უდაბნო —
ოქრო დამდნარი...

124

ცრუშურეთ აკურე

ვარვარებს ლურჯი —
ჩემს თვალებში აგვისტოს ხვატი,
მძვინვარე დემონს გულში ვიკლავ —
გარდასულს ვწყევლი
და
არად ვაგდებ,
ლრუბელი სად მიეხეტება...

ლოდზე დალლილი
მაგნოლიის უძრავი ჩრდილი —
ჩემი პროფილი
ახლა არას მოიმედეა...

ზღვა კრიალოსანს მარცვლავს —
სველი შრიალებს ქვიშა
და მე
ცრემლებიც ვეღარ მშველის
როდესაც ვეძებ...

ჩემი წარსული —
დღეს მასხარად ქცეული ბრძენი —
შორ და უმძაფრეს რეალობად
მზე იტოტება...

საუკუნის ზღურპლიან

ყოველდღიურ გასართობში —
აურაცხელ ნივთის გროვაში,
დაგკარგვია მიზნის სიცხადე
და აღარ ძალგიძს მზერა მოსწყვიტო
შენს მიერ შექმნილ საგნების ტრიუმფს...

125

כְּפָרָה בְּשִׁבְעָה

საჯიჯგნად ქცეულ ისტორიას
მოვალეობას თუღა უსრულებ
და საკუთარ უზნეობას
ისე უფრთხილდები,
როგორც უკანასკნელ სიყვარულს...

გრძნობ,
უეცრად დაიფერფლა
სიჭაბუკით ამოძახილი:
წყვლიადში უნდა გავდე მეტეორს...

ნაბიჯი აგრევია
თითქოს სხვის ბალში გადაპარულს
შეგასწრეს თვალი —
დაბნეული დგეხარ
ნარსულისა და მომავლის მიჯნაზე...

ადამიანო

როცა თვალსაზრისი
მეშჩანურ კერპალქცევის
თვალსაზრისზე დაიყვანე...

126

ცრუშები აცხვე

როცა შეგნებაში გმინავს
უცოდველობის ფამილარობა...

როცა აღარ იცი,
სამყაროს თავს მოახვივ
შენი არსებობა,
თუ თვითონ გაბატონდი
საკუთარ უძლურებაზე...

როცა შენივე მრისხანების
ჩრდილს შეფარებული,
უგრძნობლობით აღაგზნებ
ნეიტრონულ წიაღს...

როცა სხვისი სასოწარკვეთა
ბანალურ ამბად გეჩვენება
და
თავდავიწყებაში გადამალე
თავდავიწყების შიში...

როცა სიტყვის უძლურებამ
დუმილი გაამძაფრა და მისტიკაში
განზავდა...

როცა დაძაბული ცდილობ ემოციებისგან
განტვირთვას
და საპყარი ბავშვივით აღარ
შეგიძლია
მეურვის გარეშე იცხოვრო,
რატომ გიკვირს, რომ აღარ გაგაჩნი.
საკუთარი სურვილების ჯამი —
ცხოვრება...

ცელოფანი

ელავს ყორნის ფრთები —
შავი ცელოფანები,
სანაგვეზე ჰყრია
საუკუნის გლოვა...

128

თუ რამ მიოცნებია —
მისტიკის საზღაური —
არის არაორგანული —
ორგანული ქიმია...

ცელოფანის სიყვარულს
არ გაუვა წყალი
და შრიალებს ფერადი —
პლასტმასების სერია...

ხელოვნურ ყვავილების
ჭკნობა მარადიული —
წათვლემილა არყოფნა
და ჩემს სიზმრებს ლამბავს...

მატორტმანებს მზის ვნება
და ჰქუებს ორატორია —
მრისხანებადქცეული
დიფუზია ჭორის...

მიყვარს თავდაჯერება
აქციად რომ ვაქციო:
წარმავლობა,
სიბეცე —
ამ ცხოვრების მძორი...

დროს ჩამორჩა და სოფელს
მოტორები აცოფებს,
მანქანები გუგუნებს გული,
გულის სწორი...

ვერ აუველ ექსცესებს —
სიყვარულის ექსპრესებს

—
ვჩქარობ
და თავს ვერ ვართმევ
ყოველდღიურ ურვას...

ვეხეთქები ნაპირებს,
ქიმებს —
ფოლად რაპირებს.
ვერც რომ მკლავი აჩლუნგებს
და ვერც ნლების თოვა...

ელავს ყორნის ფრთები —
შავი ცელოფანები,
სანაგვეზე ჰყურია საუკუნის
გლოვად...

შესხება

წამოიკივლა ელმავალმა,
შეპყრობილია ლიანდაგებით
და გათოკილი კივის ქალაქი...

130 თავდალწეული ოცნებებიდან
იმ სიყვარულის
ჩრდილი ვარ ახლა...

რამდენი ვნება მიჩუმათდა,
წამსვლელ-მომსვლელის კვალი ირევა,
ყოველგვარ ჯავშანს
ყავლი გაუდის...

ქალაქის ფაშვი სანაგვეზე
იწვის და ხრჩოლავს,
გულს არა კაცი არ გადამიშლის...

თუ იყო სრულქმნა,
სიყვარულმა შემაძლებინა —
ხმამაღალია გამოცხადება
და სასტიკია
და საპრალო ქალის სინაზე...

წამოთოვა
და დღე გადილია,
ერთფეროვნებით ცარიელი,
სავსე ყელამდე...

ქვიშის ღრუბელი

ქრება,
ცახცახებს,
ქვიშის ღრუბელი — გული,
დნება და კვლავ აპრილდება...

ჩემია წვიმის შემოგარენი,
სივრცეზე ვლრეობ,
მუხა ბუბუნებს
და ჰორიზონტზე ჰყეფს არწივი,
ბინდში მჯდომარე...

რად მიაშურე,
სულო,
მარადისს —
შენაკადების ფერთა ბორიაყს...

დაბადებიდან დარხეულია
ხე ცნობადისა ცოდვით ელვარე...

ცას შენვე აფენ დროთა მხილებას,
ქვიშის ულელი,
ცის ქვეშ მტვერია...

წვიმამ მასმინა,
შორი გუგუნით დააცხრა მწყურვალ
სანაპიროებს...

მზე ყვავილებად განხორციელდა
და უდაბნოზე ათასფერი დაეშვა ფარდა,
სიმღერის გარდა
ნყურვილს ქონდა ოდესმე ბოლო,
გულს სიყვარულის როდესაც სწამდა...

მეხთატეხაა დღეების ქორო,
 ვინ მედავება მე შენს მშვენებას,
 დაწყევლილი ვარ სიყვარულით,
 თუ ღმერთს ენება,
 ამ ამოთქმაზე სამყარო თრთოდეს...

132 მშვენიერება სნებად შემყრია,
 უსაზღვროების კვარცხლბეკიდან
 ჩემ თავს დავყურებ...

ჭკნობის სიმძაფრეს შებმია
 და შემოდგომის ზვირთს
 ყვითელ ფოთლებზე
 მზეს
 სინაზე დაუთოვია...

სიყვარულია უსაქმური დღეების ტვირთი,
 ვერ შეედრება ოცნებაში
 ქართან ხეტიალს...

არარა ციურ ცდომილთა ხვედრი,
 ჩემი ხვედრია
 მზის და მთვარის ბორბალქვეშ წოლა...

გავეშებული
 და მწყურვალი ვახლი ქაოსზე
 ჩემს სიყვარულს და თავდავიწყებას...

ცეცხლის ყვავილად გარდაცვლილი
 წამიერ ყოფის
 დღესასწაული
 ტრიუმფების გლოვით იწყება...

აღსავლის პართან

დასაბამს,
მხოლოდ სიტყვა შერჩა
მარადიული...

მიედინება განუსჯელი
თეთრის და შავის უხმო რიალი –
დრო სივრცეში –
მამრის ღირსება...

პოეტი –
სიტყვით მთვრალი დემონი –
სიტყვის სიცხოვლეს ვწირავ
აისებს...

გამოვლილია გზა უწარსულო,
უსასოო და უმისამართო...

გეძახდი...

გიმხობ და შენი ტრფობა –
დღემდე მბრძანებლობ ჩემზე
ვარსკვლავთა მაგიური მისტერიებით...

ლაჟვარდებს ასცდა გუმბათის ყელი —
ამაღლდა სული პირველშობილი...

რად სუფევ; ღმერთო,
მოკვდავის შიშში —
ამ ჩემს
ძრწოლვაში...

დუმხარ, უფალო...

და იდუმალ წამს ფერიცვალების –
ანგელოზის ხმას,

განცდა საზარი
გულში დაეძებს გონების თვალი...

ნაქანდაკარი –

ჩემი წყურვილი –
ვეღარ დავიცხერე სიცოცხლით თრობა –
მშვენიერება,
მრავლისმეტყველი...

მიედინება,

თან წარიტაცებს,

ვნებების ტყვედექმნილ მძაფრ
რეალობას –

თეთრის და შავის უხმო ღრიალით
დრო სივრცეში გარდაიცვალა...

და უხსენებლის შემზარავ სახეს
ვუცქერ და გვერდი: ვინ შეიძრალოს
ხიბლდაკარგული წუთისოფელი –
შენგან სიშორე,
გულთამხილავო,
ჩემო უფალო...

ეპილოგი

ხმას ვეღარ გაწვდენ,
 როცა გიხმობ,
 თუნდაც ლრიალით,
 ცის თაღს მიასკდეს
 გულის ძეგრა –
 შევაშფოთო ზეცის მხედრობა...
 და
 წარმავლობის თანმდევი შიშით
 ფერიცვალების
 უნუგეშო ავანსცენაზე,
 ამაოების ცქერით
 ბნდება,
 ჩემი ლურჯი –
 ზეცის თვალები...

 გაუცხოვდი...

 წავედი, ჩემ მარტოობაში...



| | |
|----------------------------------|----|
| მოსალოდნელი მოულოდნელობები | 5 |
| ჩემი აპოლოგია..... | 9 |
| ცრემლი დემონის ნიღაბზე | 11 |
| სამოთხის კართან | 13 |
| ვედრება..... | 15 |
| სინათლის ლოდი | 16 |
| მე — მაიაკოვსკი | 18 |
| გადამალული დღე | 20 |
| აპრილის თოვლი | 22 |
| დემონი | 23 |
| კენტავრი..... | 25 |
| გზაჯვარედინი..... | 26 |
| ეს დღეც გათენდა | 28 |
| მაგია „ლ“ | 30 |
| მკვდრის მზე..... | 31 |
| უწერა..... | 32 |
| დეპრესია | 33 |
| ფოთოლცვენა | 35 |
| იგზავნება უმისამართოდ | 36 |
| მაისი | 38 |
| კულისებში | 39 |
| მეტამორფოზა | 40 |
| გაუცხოების მეტამორფოზა | 42 |
| მუნჯი აგონია | 43 |
| სივრცის ნაპირი | 45 |
| ქამელეონი..... | 47 |
| დაღწევა..... | 49 |
| ფენიქსური ვნებანი | 51 |

| | |
|---|-----|
| სალამოს ინტერიერი..... | 53 |
| სიცხადე..... | 55 |
| განდობა | 57 |
| დამკვიდრება..... | 59 |
| ცისარტყელას ფერფლი..... | 61 |
| ამბიციების სკივრიდან | 63 |
| ქვაშვეთთან – 7. 1. 92 წ. | 65 |
| სისხლის წვიმაში..... | 67 |
| გ — ს | 71 |
| შუქჩრდილები..... | 72 |
| ამოძახილი..... | 73 |
| გამხელილი პარამეტრები..... | 75 |
| ნისლის ტაძარი..... | 76 |
| ფითრი სევდის ტოტებზე | 78 |
| პროპორციები..... | 80 |
| დიდთოვლობა | 82 |
| ფრენა ირეალურის ზღვარზე..... | 84 |
| იმპრესიონისტული პეიზაჟი..... | 85 |
| ბორჯლალი | 86 |
| უკუსვლა პირველ სიყვარულიდან | 87 |
| ვარსკვლავები — ნაფეხურები | 89 |
| შავთეთრი ცისარტყელა | 90 |
| მარადი ექო | 92 |
| ფეიერვერკი..... | 94 |
| ცეცხლი ნიუარაში..... | 95 |
| სინათლის სტრიპტიზი მთვარის ამფორაზე | 97 |
| წყურვილის ფასი..... | 99 |
| მრისხანების დღესასწაული | 101 |
| მისტერია | 102 |
| რექვიემი | 103 |

| | |
|-----------------------|-----|
| ტაიმაუტი | 104 |
| ილუზია — თოვლი | 105 |
| რეფრენი | 107 |
| მატადორი | 110 |
| სათამაშო | 112 |
| დუმილის ანაბეჭდი | 113 |
| პეიზაჟი | 115 |
| ქვეცნობიერი იმპულსები | 116 |
| შთამომავალო | 118 |
| საღამოს რექვიემი | 120 |
| წრებრუნვა | 121 |
| ოფორტი | 123 |
| მასხარა — ბრძენი | 124 |
| საუკუნის ზღურბლთან | 125 |
| ადამიანო | 126 |
| ცელოფანები | 128 |
| შეხება | 130 |
| ქვიშის ღრუბელი | 131 |
| აღსავლის კართან | 133 |
| ეპილოგი | 135 |

მურალ წებიერიძე

მამაკაცური
უდაპოვს მზე

თბილისი
2006